ღია საზოგადოების ფონდი

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

საქართველოს ექსპორტის დინამიკის ცალკეული ასპექტები საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის ფონზე

თბილისი 2018

ღია საზოგადოების ფონდი

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

საქართველოს ექსპორტის დინამიკის ცალკეული ასპექტები საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის ფონზე

თბილისი 2018

ანგარიში მომზადებულია ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის პროექტის "ასოცირების სამოქმედო გეგმის ეფექტიანობის შეფასება ექსპორტის დივერსიფიცირების მიმართულებით" ფარგლებში.

კვლევა გამოცემულია ფონდ ”ღია საზოგადოება - საქართველოს” ფინანსური მხარდაჭერით.
ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

© ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

სარჩევი

შესავალი 5
ექსპორტის დივერსიფიკაციის ზოგადი მიმოხილვა 6
ექსპორტის დეკომპოზიცია ბაზრების/საქონლის მიხედვით 7
ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში 8
ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებში 12
ექსპორტი მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში 15
დასკვნა 19

შესავალი

2014 წლიდან მოყოლებული საქართველომ ხელი მოაწერა რამდენიმე მნიშვნელოვან ხელშეკრულებას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, მათ შორის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ე.წ. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველ შეთანხმებას (DCFTA), თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას EFTA (Europe Free Trade Agreement) ქვეყნებთან (ისლანდია, ლიხტენშტაინი, ნორვეგია და შვეიცარია) და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურია დავსვათ კითხვა: რამდენად იმოქმედა საქართველოს საქონლის ექსპორტის დივერსიფიკაციაზე აღნიშნულმა ხელშეკრულებებმა. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქონლის ექსპორტი, შესაძლოა, საკმაოდ ინერტული იყოს ცვლილებების მიმართ და სავაჭრო რეჟიმის ცვლილების სრული ასახვა ექსპორტის დინამიკაზე ჯერ არ მომხდარა (ეს შენიშვნა, განსაკუთრებით, ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას ეხება, რომელსაც ხელი 2017 წლის მაისში მოეწერა, ხოლო ძალაში ის მხოლოდ 2018 წლის იანვრიდან შევიდა.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობის რეჟიმის შემდგომი ლიბერალიზაციისკენ გადაგმულმა ზემოთხსენებულმა ნაბიჯებმა მედია თუ ანალიტიკურ სივრცეში, ასევე პოლიტიკურ წრეებში შექმნა საქართველოს ექსპორტის მოცულობის ნახტომისებური ზრდისა და დივერსიფიკაციის მოლოდინები როგორც გეოგრაფიული, ისე სასაქონლო ნომენკლატურის გაფართოების თვალსაზრისით. ხშირ შემთხვევაში, ასეთი მოლოდინების გასამართლებლად საჭიროა გარკვეული დროის, სულ მინიმუმ ხუთწლიანი პერიოდის კვლევა და მსგავსი ქვეყნების ემპირიული გამოცდილების ანალიზი, ასევე საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების ანალიტიკური და საპროგნოზო მოდელების წინასწარი შემუშავება, მათი შემდგომი მოდიფიკაცია და ემირიული მასალის მოდელის მიერ ნაწინასწარმეტყველებ შედეგებთან შედარება. გარდა ამისა, სავაჭრო რეჟიმების ლიბერალიზაციისა თუ გამკაცრების შედეგების ობიექტურად გასაანალიზებლად აუცილებელია გარკვეული დროის გავლა და სხვა თანამდევი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების (ეკონომიკური ზრდის დინამიკა ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებში, ინვესტიციებისა და საფინანსო ნაკადები, სავალუტო კურსების დინამიკა, სახელმწიფოს დოსკრეტული პოლიტიკა და სხვა) შეძლებისდაგვარად გათვალისწინება, რაც შემგომი კვლევების საგანი უნდა გახდეს.

მიუხედავად ზემოთქმულისა აღნიშნული კვლევის საშუალებით შესაძლებლად მიგვაჩნია ცალკეული ტენდენციების ფრთხილი ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება მომდევნო კვლევების უფრო ეფექტიანი გზით წარმოების მიზნით.

კვლევა შეიცავს ექსპორტის დინამიკის მიმოხილვას ზოგადი დივერსიფიკაციის თვალსაზრისით. ასევე ცალ-ცალკეა გაანალიზებული ევროკავშირის, დსთ-სა და დანარჩენ მსოფლიოში, როგორც საქართველოს საექსპორტო ბაზრებზე ნაჩვენები დინამიკა. საგარეო ბაზრების ასეთი დაყოფა გამართლებულია, ვინაიდან ეს იძლევა საშუალებას რელიეფურად გამოჩნდეს ქართული ექსპორტის განვითარებაში გამოკვეთილი უმთავრესი ტენდენციები გეოგრაფიული და სასაქონლო ჯგუფების ნიშნით. ანალიზისთვის სიღრმის მისაცემად ცალ-ცალკეა გადმოცემული 2014, 15, 16 და 17 წლები, ხოლო 2018 წლისათვის მხოლოდ პირველი ხუთი თვის შედეგები მიმოხილულია ზოგადად, ვინაიდან მონაცემები არასრულია და მიმდინარე წლის განმავლობაში დაფიქსირებულ ტენდენციებზე დასაბუთებული საუბარი ამის გამო მეტად რთულია.

დასკვნის სახით მასალის ბოლოში წარმოდგენილია ანალიზის მოკლე შედეგები და რეკომენდაციები შემდგომი კვლევების საწარმოებლად.

ექსპორტის დივერსიფიკაციის ზოგადი მიმოხილვა

დივერსიფიკაციის სტანდარტულ ზომას ეკონომიკურ ლიტერატურაში წარმოადგენს ე.წ. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI), რომელიც წარმოადგენს ამა თუ იმ ჩაშლაში არსებული კომპონენტების პროცენტული წილების კვადრატების ჯამს. განსაზღვრებიდან გამომდინარე HHI-ს მნიშვნელობები მერყეობს 1/N-დან (სადაც N კომპონენტების რაოდენობაა) 10000-მდე. თუკი საქართველოს ექსპორტის დივერსიფიკაციას ამ კუთხით განვიხილავთ, ჩანს, რომ ქვეყნების მიხედვით ექსპორტის დივერსიფიკაცია 2013 წლის შემდეგ იზრდებოდა, თუმცა 2017 და 2018 წლის პირველი 5 თვის მანძილზე ექსპორტის კონცენტრაცია კვლავ გაიზარდა, ძირითადად, საქართველოს ექსპორტში რუსეთის წილის მკვეთრი ზრდის ხარჯზე. საქონლის HS 6 ნიშნა კლასიფიკაციის მიხედვით ექსპორტი საკმაოდ დივერსიფიცირებულია, მიუხედავად მცირე აღმავალი ტრენდისა. გარკვეულწილად, ეს აიხსნება იმით, რომ აღნიშნული კლასიფიკაცია საკმაოდ დეტალურია, და ამდენად, მაღალი კონცენტრაციის მიღწევა წმინდა მათემატიკურად ძალიან ნაკლებად ალბათიანია. თუკი, შედარებისთვის, ჩვენ საქონლის HS 4 ნიშნა კლასიფიკაციას გამოვიყენებთ, ჩანს, რომ კონცენტრაცია უფრო მაღალია და მეტიც, 2013 წლის შემდგომი ტენდენცია ქვეყნების დივერსიფიკაციის ტენდენციის მსგავსია.



ექსპორტის დეკომპოზიცია ბაზრების/საქონლის მიხედვით

ახალი ბაზრების/საქონლის გამოჩენის შეფასების კიდევ ერთი მეთოდია მისი ცვლილების დეკომპოზიცია არსებული/ახალი ბაზრების ან არსებული/ახალი საქონლის მიხედვით. ამისთვის გამოვიყენოთ შემდეგი განსაზღვრებები:

1. საბაზო წლის ექსპორტი – $X_0 = \sum_{K_0} X_{k0}$, სადაც K_0 – საბაზო წლის ექსპორტის ბაზრების/საქონლის სიმრავლეა;
2. საბაზო წლის ექსპორტი – $X_1 = \sum_{K_1} X_{k1}$, სადაც K_1 – საბოლოო წლის წლის ექსპორტის ბაზრების/საქონლის სიმრავლეა.

$$\Delta X = \sum_{K_0 \cap K_1} \Delta X + \sum_{K_0 \setminus K_1} X_k - \sum_{K_0 / K_1} X_k$$

შესაბამისად, განსხვავება ექსპორტში ნებისმიერ ორ წელს შორის, შეგვიძლია გამოვსახოთ შემდეგნაირად:

სადაც პირველი წევრი არის ექსპორტის ცვლილება ე.წ. ინტენსიურ ზღვარზე (რომელიც გულისხმობს პირველ და ბოლო წელს ერთსა და იმავე ბაზრებს/საქონელს), მეორე – ახალი ბაზრების/საქონლის წვლილს ექსპორტის ცვლილებაში და მესამე – დაკარგული ბაზრების/საქონლის წვლილს.



ამ გზით ექსპორტის დეკომპოზიცია გვაჩვენებს, რომ 2013 წლის შემდეგ ძირითადი ცვლილება როგორც ახალი ბაზრების, ისე ახალი საქონლის მხრივ მოხდა 2013 და 2014 წლებთან შედარებით. სავარაუდოდ, ეს იმას ნიშნავს, რომ 2014 წლის შემდეგ განხორციელებულმა ცვლილებებმა სავაჭრო პოლიტიკაში ექსპორტის კომპოზიციაზე სათანადო გავლენა ვერ იქონია, რაც სავარაუდოდ, გამოწვეულია იმით, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაციის შედეგების სრულად წარმოსაჩენად საკმარისი დრო ჯერ არ გასულა. როგორც შესავალ ნაწილში უკვე აღვნიშნეთ, მოგვიანო, უფრო სრულყოფილი ანალიზისათვის საჭირო იქნება ახალი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფების ანალიზისას ვაჭრობის ლიბერალიზაციის ნეტო ეფექტის გამოსავლენად სხვა ფაქტორების (მაკროეკონომიკური, სავალუტო, და სხვა ეგზოგენური ფაქტორების) გამორიცხვა, რაც საშუალებას მოგვცემს ვიმსჯელოთ ამ შედეგების სიდიდეზე. საქონლის ჯგუფების მიხედვით ექსპორტის დეკომპოზიციის საშუალებით, ასეთი ეფექტის გამოკვეთა ჯერჯერობით მეტისმეტად რთულია, ვინაიდან საკმაოდ მცირე დროა გასული ახალი სავაჭრო რეჟიმის ფორმალურად ამოქმედების დღიდან.



ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში

2014 წელს, წინა წელთან შედარებით, ექსპორტი ევროკავშირში მხოლოდ 2.8%-ით გაიზარდა, 2015 წელს – 3.4%-ით, 2016 წელს დაფიქსირდა კლება 12.4%-ის ოდენობით, ხოლო 2017 წელს კი კვლავ ზრდა, 15.8%, თუმცა ეს ზრდა წინა წლის კლებით იყო განპირობებული და ზრდა 2015 წელთან შედარებით მხოლოდ 1.5% იყო. ამასთან, 2018 წლის პირველი ხუთი თვის მანძილზე, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ზრდა 28% იყო.

2014 წლის მანძილზე ექსპორტის ყველაზე დიდი ზრდა წინა წელთან შედარებით დაფიქსირდა ავსტრიაში (734.8%), სლოვენიაში (634.8%), შვედეთში (279.4%), თუმცა ამ ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში უმნიშვნელო იყო და ამდენად მათი ჯამური წვლილი ზრდაში მხოლოდ 0.8 პროცენტული პუნქტი იყო. ავსტრიაში ექსპორტის ზრდა ძირითადად 080222 კატეგორიით (სახალი ან ხმელი ნაჭუჭგაცლილი, ტყის კაკალი ანუ თხილი (Corylus spp.)) იყო განპირობებული; სლოვენიაში – 870830 კატეგორიით (ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების მუხრუჭები, მუხრუჭები სერვოგამაძლიერებლებით, მათი ნაწილები); შვედეთში კი 220421 კატეგორიით (ყურძნის ნატურალური ღვინოები (ყურძნის ცქრიალა ღვინოების გარდა), 2 ლ ან ნაკლები ტევადობის ჭურჭელში). ყველაზე დიდი წვლილი ექსპორტის ზრდაში 2014 წელს (2.7 პპ) შეიტანა ბულგარეთმა, რომელშიც ექსპორტი გაიზარდა 10.8%-ით, ძირითადად 260300 კატეგორიის (სპილენძის მადნები და კონცენტრატები) ხარჯზე. რაოდენობრივად დიდი წვლილი, ასევე, ჰქონდა ექსპორტს ლიტვაში (1.6 პპ) და ნიდერლანდებში (1.4 პპ), რომელთა შემთხვევაში ცალკეული პროდუქტის დომინირებას ადგილი არ ჰქონია.

ექსპორტის ზრდა ევროკავშირის ქვეყნებში 2014 წელს

ქვეყანა	ექსპორტის ზრდა	წვლილი მთლიან ზრდაში
ავსტრია	734.8%	0.7%
სლოვენია	634.8%	0.1%
შვედეთი	279.4%	0.0%
უნგრეთი	91.4%	0.1%
სლოვაკეთი	78.6%	0.8%
ლიტვა	45.7%	1.6%
ნიდერლანდები	38.5%	1.4%
პოლონეთი	36.8%	0.4%

ესტონეთი	29.0%	0.1%
ლატვია	20.0%	0.2%
ბულგარეთი	10.8%	2.7%
იტალია	6.2%	0.8%
ესპანეთი	5.3%	0.6%
ჩეხეთი	-4.0%	-0.1%
გერმანია	-5.5%	-0.7%
საბერძნეთი	-6.7%	-0.2%
რუმინეთი	-14.7%	-0.1%
გაერთიანებული სამეფო	-16.6%	-0.8%
საფრანგეთი	-20.6%	-1.1%
პორტუგალია	-20.9%	-0.1%
დანია	-26.6%	-0.1%
ბელგია	-32.0%	-3.2%
კვიპროსი	-41.7%	-0.1%
ხორვატია	-52.3%	0.0%
ირლანდია	-53.5%	0.0%
ფინეთი	-65.0%	-0.2%
მალტა	-93.4%	-0.1%
ლუქსემბურგი	-99.9%	0.0%

2015 წლის მანძილზე ექსპორტის ყველაზე დიდი ზრდა წინა წელთან შედარებით დაფიქსირდა ირლანდიაში (1314.3%), ხორვატიაში (955.2%), რუმინეთში (528.4%), მალტაში (488.1%) და პოლონეთში (184.4%). ამათგან მალტას წილი მთლიან ვაჭრობაში (და, შესაბამისად, ზრდის მაჩვენებელშიც) პრაქტიკულად უმნიშვნელო იყო, ირლანდიისა და ხორვატიის წილები ზრდაში იყო 0.3-0.3 პპ, ხოლო რუმინეთისა და პოლონეთის წილები ექსპორტის მთლიან ზრდაში იყო, შესაბამისად 3.6 პპ და 3.0 პპ. აღსანიშნავია, აგრეთვე, ბულგარეთის მნიშვნელოვანი წილი ექსპორტის ზრდაში (7.6 პპ); ექსპორტი ბულგარეთში 2018 წელს 28.2%-ით გაიზარდა. ექსპორტი ირლანდიაში გაიზარდა, ძირითადად 300490 კატეგორიის (სამკურნალო საშუალებები, შედგენილი შერეული ან შეურეველი პროდუქტებისაგან, ანტიბიოტიკების, ჰორმონების, 2937 სასაქონლო პოზიციის დანარჩენი ნაერთების, ალკალოიდებისა ან მათი წარმოებულების, ვიტამინებისა ან 2936 სასაქონლო პოზიციის სხვა ნაერთების შემცველობის გარეშე) ხარჯზე (2014 წელს აღნიშნული კატეგორიის საქონელი ირლანდიაში არ გაყიდულა, ხოლო 2015 წელს გაიყიდა 1,699.9 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, რაც ირლანდიაში მთლიანი ექსპორტის 77.4%-ს შეადგენდა). ანალოგიურად, ხორვატიაში ექსპორტის ზრდა ძირითადად 852560 კატეგორიის (გადამცემი აპარატურა, რადიომაუწყებლობისა ან ტელევიზიისათვის, რომელიც შეიცავს მიმღებ მოწყობილობას) ხარჯზე მოხდა (2014 წელს აღნიშნული კატეგორიის საქონელი ხორვატიაში არ გაყიდულა, ხოლო 2015 წელს გაიყიდა 1,424.3 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, რაც ხორვატიაში მთლიანი ექსპორტის 70.8%-ს შეადგენდა). რუმინეთში ექსპორტში 2015 წელს დომინირებდა ორი კატეგორიის საქონელი (რუმინეთში მთლიანი ექსპორტის 97.6%) – 310230 (ამონიუმის ნიტრატი, მათ შორის წყალხსნარში (მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი სასუქი) – 10,059 ათასი აშშ დოლარი) და 270900 (ბიტუმოვანი მინერალებისაგან მიღებული ნედლი ნავთობი და ნედლი ნავთობპროდუქტები – 16,269.5 ათასი აშშ დოლარი). ექსპორტი პოლონეთში ძირითადად ზემოხსენებული 310230 კატეგორიის ხარჯზე გაიზარდა (2014 წელს აღნიშნული კატეგორიის საქონელი პოლონეთში არ გაყიდულა, ხოლო 2015 წელს გაიყიდა 19,832.1 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, რაც პოლონეთში მთლიანი ექსპორტის 69.2%-ს შეადგენდა).

ექსპორტის ზრდა ევროკავშირის ქვეყნებში 2015 წელს		
	ექსპორტის ზრდა	წვლილი მთლიან ზრდაში
ირლანდია	1314.3%	0.3%
ხორვატია	955.2%	0.3%
რუმინეთი	528.4%	3.6%
მალტა	488.1%	0.0%
პოლონეთი	184.4%	3.0%
ნიდერლანდები	35.4%	1.8%
ბულგარეთი	28.2%	7.6%
გერმანია	9.6%	1.1%
ლიტვა	5.0%	0.3%
ჩეხეთი	-5.8%	-0.1%
ესტონეთი	-10.3%	0.0%
გაერთიანებული სამეფო	-13.3%	-0.5%
იტალია	-13.3%	-1.8%
უნგრეთი	-14.2%	0.0%
კვიპროსი	-18.3%	0.0%
ლატვია	-20.6%	-0.3%
საფრანგეთი	-21.8%	-0.9%
საბერძნეთი	-23.1%	-0.5%
ფინეთი	-37.3%	0.0%
სლოვაკეთი	-39.7%	-0.7%
ესპანეთი	-40.4%	-4.6%
ავსტრია	-51.3%	-0.4%
დანია	-58.2%	-0.1%
ბელგია	-60.9%	-4.1%
შვედეთი	-70.6%	0.0%
სლოვენია	-77.6%	-0.1%
პორტუგალია	-91.4%	-0.3%
ლუქსემბურგი	-100.0%	0.0%

2016 წლის მანძილზე ექსპორტის ყველაზე დიდი ზრდა წინა წელთან შედარებით დაფიქსირდა პორტუგალიაში (878.2%), მალტასა (476.2%) და დანიაში (174.6%). ექსპორტის მაღალი ზრდის მქონე სხვა ბაზრების მსგავსად, ამ ქვეყნების წილიც მთლიან ექსპორტში (და, შესაბამისად, ექსპორტის ზრდაშიც) მცირე იყო. პორტუგალიის შემთხვევაში ქართული ექსპორტის უდიდეს წილს წარმოადგენდა 720230 კატეგორიის საქონელი (ფეროსილიკომანგანუმი). მალტაში ექსპორტი ძირითადად მოიცავდა 271019 კატეგორიის საქონელს (საშუალო და მძიმე დისტილატები; ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მიღებული ბიტუმოვანი ქანებისაგან, ნედლის გარდა; და სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი ნავთობის ან ნავთობპროდუქტების 70 მას.% ან მეტი შემცველობის პროდუქტები, რომლებიც მიღებულია ბიტუმოვანი ქანებიდან), ხოლო დანიაში ექსპორტში დომინირებდა კატეგორიები 120999 (ტყის ხეების, ყვავილების მისაღები მცენარეებისა (1209 30 – ყვავილიანი ბალახოვანი მცენარეების გარდა) და დანარჩენი მცენარეების თესლები სათესად) და 080222 (ახალი ან ხმელი ნაჭუჭგაცლილი, ტყის კაკალი ანუ თხილი (Corylus spp.)). ექსპორტის ზრდაში ყველაზე მაღალი წვლილი – 1.5-1.5 პპ – შეიტანა ექსპორტმა რუმინეთსა და გერმანიაში. აღსანიშნავია, რომ რუმინეთში, წინა წლის მსგავსად, ექსპორტის მნიშვნელოვან წილს წარმოადგენდა კატეგორიები 270900 (ბიტუმოვანი მინერალებისაგან მიღებული ნედლი ნავთობი და ნედლი ნავთობპროდუქტები) – 22,198.9 ათასი აშშ დოლარი და 310230 (ამონიუმის ნიტრატი, მათ შორის წყალხსნარში (მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი სასუქი) – 3,256.6 ათასი აშშ დოლარი), მაგრამ

დამატებით საკმაოდ დიდი წილი ამ ქვეყანაში ექსპორტში დაიკავა კატეგორიამ 260300 (სპილენძის მადნები და კონცენტრატები) – 10,292.4 ათასი აშშ დოლარი. მეორე მხრივ, ექსპორტი გერმანიაში ტრადიციულად მაღალი იყო (85,352.5 ათასი აშშ დოლარი), თუმცა საკმაოდ დივერსიფიცირებული, გამოკვეთილი დომინანტი კატეგორიის გარეშე. მთლიანობაში ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში 2016 წელს 12.4%-ით შემცირდა, ძირითადად ბულგარეთში ექსპორტის შემცირების ხარჯზე (8.3 პპ).

ექსპორტის ზრდა ევროკავშირის ქვეყნებში 2016 წელს		
2015	ექსპორტის ზრდა	წვლილი მთლიან ზრდაში
პორტუგალია	878.2%	0.3%
მალტა	476.2%	0.3%
დანია	174.2%	0.2%
კვიპროსი	48.6%	0.1%
რუმინეთი	36.1%	6.5%
ესტონეთი	24.2%	0.5%
სლოვაკეთი	20.8%	1.5%
საფრანგეთი	19.0%	4.4%
გერმანია	12.6%	15.1%
საბერძნეთი	9.0%	2.0%
ჩეხეთი	3.5%	2.4%
ლუქსემბურგი	0.0%	0.0%
უნგრეთი	-1.2%	0.1%
ესპანეთი	-1.4%	7.3%
იტალია	-2.5%	12.9%
სლოვენია	-5.5%	0.0%
ლატვია	-11.2%	1.0%
ნიდერლანდები	-12.3%	6.5%
ლიტვა	-24.4%	4.5%
ბულგარეთი	-25.0%	28.4%
შვედეთი	-26.1%	0.0%
გაერთიანებული სამეფო	-29.1%	2.7%
ფინეთი	-41.3%	0.0%
ბელგია	-52.7%	1.4%
ავსტრია	-66.9%	0.1%
პოლონეთი	-70.0%	1.5%
ირლანდია	-82.7%	0.1%
ხორვატია	-88.3%	0.0%

2017 წელს ექსპორტი ევროკავშირში 15.8%ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით, თუმცა ასეთი მაღალი ზრდა განპირობებული იყო წინა წელს ექსპორტის კლებით. განსაკუთრებით მაღალი ზრდა ჰქონდა ლუქსემბურგში ექსპორტს – 5081.4%, რაც 720230 კატეგორიის (ფეროსილიკომანგანუმი) ერთჯერადი მაღალი ექსპორტის (2,008.9 დოლარი) შედეგია. კვლავ მაღალი იყო მალტაში ექსპორტის ზრდა, რომელიც ამჯერად 982.8% იყო და ექსპორტის მთლიან ზრდაშიც მაღალი წვლილით (3.0 პპ) აისახა; მთლიანობაში ექსპორტი მალტაში 2014-2017 წლებში თითქმის 3700-ჯერ გაიზარდა, ძირითადად 271019 კატეგორიის (საშუალო და მძიმე დისტილატები; ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მიღებული ბიტუმოვანი ქანებისაგან, ნედლის გარდა; და სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი ნავთობის ან ნავთობპროდუქტების 70 მას.% ან მეტი შემცველობის პროდუქტები, რომლებიც მიღებულია ბიტუმოვანი ქანებიდან) ხარჯზე, რომლის

ექსპორტმა 2017 წელს 19,079.4 დოლარი შეადგინა (მალტაში მთლიანი ექსპორტის 98.1%). ექსპორტის განსაკუთრებით მაღალი ზრდა აღინიშნებოდა, ასევე, სლოვენიაში (673.1%), ავსტრიაში (620.8%), კვიპროსზე (359.4%), შვედეთში (335.9%), ბელგიაში (134.2%), ესტონეთში (120.1%), პოლონეთსა (118.5%) და რუმინეთში (104.9%). ამათგან სლოვენიასა და შვედეთში ექსპორტირების მასშტაბი მცირე იყო, და შედეგად ამ ქვეყნებში ექსპორტის ზრდას მთლიან ზრდაში რამდენადმე მნიშვნელოვანი წვლილი არ შეუტანია. მეორე მხრივ, რუმინეთში ექსპორტის ზრდის წილი მთლიან ზრდაში კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო, ვიდრე წინა წლებში და 6.8 პპ შეადგინა. წინა წელთან შედარებით, შემცირდა 270900 კატეგორიის საქონლის ექსპორტი (22,198.9-დან 5,631.3 ათას დოლარამდე), სამაგიეროდ თითქმის 5.6-ჯერ გაიზარდა 260300 კატეგორიის საქონლის ექსპორტი, რომელმაც 57,545.4 ათასი აშშ დოლარი შეადგინა (რუმინეთში მთლიანი ექსპორტის 76.7%). წინა წლისგან განსხვავებით, კვლავ მაღალი წვლილი ექსპორტის ზრდაში შეიტანა ბულგარეთში ექსპორტის ზრდამ (4.6 პპ) და, მსგავსად წინა წლებისა, ძირითად საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენდა კატეგორია 260300 (156,999.2 ათასი აშშ დოლარი, მთლიანი ექსპორტის 87.8%).

სეზონურობისა და სხვა პრობლემების გამო, 2018 წლის პირველი 5 თვის მონაცემებიდან რაიმე საბოლოო დასკვნების გამოტანა რთულია, თუმცა უნდა აღინიშნოს მალტაში 270119 კატეგორიის საქონლის ექსპორტის მაღალი მაჩვენებელი (12,610 ათასი აშშ დოლარი), ბულგარეთში ტრადიციულად მაღალი ექსპორტი, რომელშიც კვლავაც 260300 კატეგორიის საქონელი დომინირებდა (91,277.5 ათასი აშშ დოლარი, მთლიანი ექსპორტის 94.4%) და საფრანგეთში ექსპორტის ზრდა (2018 წლის პირველი 5 თვის მანძილზე წინა წლის ექსპორტის 92.3%. ამ უკანასკნელში დომინირებდა კატეგორიები 220820 (სპირტის ნაყენები, მიღებული ყურძნის ღვინისა ან ჭაჭის დისტილაციის (გამოხდის) შედეგად) და 271019.

დღესდღეობით მთლიანობაში, შეიძლება მხოლოდ ის ითქვას, რომ ევროკავშირთან გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ჯერჯერობით მხოლოდ დადებითად აისახა ევროკავშირთან ვაჭრობაზე. გარდა იმისა, რომ საქართველომ შეინარჩუნა ვაჭრობის მაღალი დონე თავის ძირითად სავაჭრო პარტნიორთან ევროკავშირში – ბულგარეთთან, სახეზეა ახალ ბაზრებზეც გასვლა – პირველ რიგში მალტაზე და რუმინეთში, თუმცა ეს უკანასკლენლი, განსაკუთრებით კი მალტა ვერ ჩაითვლება გრძელვადიან პერიოდში საიმედო საექსპორტო ბაზრდებად, სრულიად გასაგები მიზეზების გამო.

თუ გამოვრიცხავთ ნახტომისებურ კლებასა და ზრდას ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის მიმართულებით 2016-2017 წლებში, შესაძლებელიია დავუშვათ, რომ ქვეყანათა ამ ჯგუფში ექსპორტის ზრდა დღევანდლამდე თანდათანობითი, ევოლუციური ხასიათისაა და სავაჭრო რეჟიმის დადებითი შედეგები მოგვიანებით უნდა გამოჩნდეს. ყურადსაღებია ისიც, რომ ექსპორტში კვლავაც დომინირებს ნედლეული და არა მზა საქონელი, ეს უკანასკნელი კი განსაკუთრებით მგრძნობიარეა ფასების მერყეობისადმი და მიწოდების უეცარი წყვეტებისადმი, აქედან გამომდინარე, საქართველოს ექსპორტი მეტად მოწყვლადია საგარეო შოკებისადმი და ჩვენს ქვეყანას ევროპასთან ვაჭრობის ლიბერალიზაციის სტიმულების რეალიზაციისათვის დასჭირდება ეკონომიკის მნიშვნელოვანი გარდაქმნა, კონკურენტუნაიანობის ამაღლება და სხვა. ალბათ, ამის შემდეგ თუ შეიძლება დაბეჯითებით ლაპარაკი იმაზე, რომ ადგილი აქვს საქართველოს საგარეო ვაჭრობის დსთ-ს ქვეყნებიდან და დანარჩენი მსოფლიოდან, როგორც სხვა უმსხვილესი სავაჭრო ქვეყნების ბლოკებიდან ექსპორტის ევროკავშირისაკენ გადანაცვლებას, რაც ვაჭრობის ლიბერალიზაციის ერთ-ერთი შესაძლო შედეგი უნდა გახდეს.

ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებში

ევროკავშირთან ვაჭრობისგან განსხვავებით, ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებში 2013 წლის მერე მკვეთრად ეცემოდა. მიუხედავად 2017 წელს და 2018 წლის პირველი 5 თვის მანძილზე მაღალი ზრდისა, ის კვლავაც ჩამორჩება 2013 წლის დონეს. მიუხედავად 2017 წელს წინა წელთან შედარებით დაფიქსირებული 60.6%-იანი ზრდისა, მთლიანობაში ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებში 2017 წელს 2013 წელთან შედარებით შემცირდა 26.9%-ით.

2014 წელს დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტი წინა წელთან შედარებით 9.6%-ით შემცირდა, რაც, ძირითადად, აზერბაიჯანში ექსპორტის შემცირების ხარჯზე მოხდა (-10.2 პპ). ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა ექსპორტი უზბეკეთში (141.4%, 2 პპ წვლილი ზრდაში) და რუსეთში (35.8%, 5.2 პპ). უზბეკეთში ექსპორტის ძირითად ნაწილს 300490 კატეგორიის საქონელი (სამკურნალო საშუალებები, შედგენილი შერეული ან

შეურეველი პროდუქტებისაგან, ანტიბიოტიკების, ჰორმონების, 2937 სასაქონლო პოზიციის დანარჩენი ნაერთების, ალკალოიდებისა ან მათი წარმოებულების, ვიტამინებისა ან 2936 სასაქონლო პოზიციის სხვა ნაერთების შემცველობის გარეშე) მოიცავდა – 30,236.0 ათასი აშშ დოლარი (მთელი ექსპორტის 55.1%). რუსეთში ექსპორტის ძირითად ნაწილს, ტრადიციულად, წარმოადგენდა კატეგორიები 220110 (წყლები მინერალური და გაზიანი) და 220421 (ყურძნის ნატურალური ღვინოები (ყურძნის ცქრიალა ღვინოების გარდა), 2 ლ ან ნაკლები ტევადობის ჭურჭელში), რომელთა ექსპორტი, შესაბამისად, 66,105 და 110,560.1 ათასი აშშ დოლარი იყო (მთლიანი ექსპორტის 64.3%).

2015 წელს დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტის კლება გაგრძელდა და წინა წელთან შედარებით -42.6% შეადგინა. ექსპორტის ზრდა მხოლოდ უზბეკეთში, მოლდოვასა და თურქმენეთში დაფიქსირდა, საიდანაც აბსოლუტურ გამოსახულებაში მხოლოდ უზბეკეთში ექსპორტი იყო. ეს უკანასკნელი გაიზარდა 78.7%-ის ოდენობით წინა წელთან შედარებით. წინა წლის მსგავსად, ექსპორტის ძირითადი ნაწილი სამკურნალო საშუალებებისგან შედგებოდა, კერძოდ კატეგორიები 300420 (სამკურნალო საშუალებები, შედგენილი შერეული ან შეურეველი პროდუქტებისაგან, ანტიბიოტიკების შემცველობით, პენიცილინებისა და სტრეპტომიცინებისა და მათი წარმოებულების გარდა, თერაპიული ან პროფილაქტიკური მიზნებით გამოსაყენებლად, დაფასოებული დოზირებული სამკურნალო ფორმით), 300450 (სამკურნალო საშუალებები, შედგენილი შერეული ან შეურეველი პროდუქტებისაგან, ვიტამინებისა ან 2936 სასაქონლო პოზიციის სხვა ნაერთების შემცველობით, თერაპიული ან პროფილაქტიკური მიზნებით გამოსაყენებლად, დაფასოებული დოზირებული სამკურნალო ფორმების სახით) და 300490 (სამკურნალო საშუალებები, შედგენილი შერეული ან შეურეველი პროდუქტებისაგან, ანტიბიოტიკების, ჰორმონების, 2937 სასაქონლო პოზიციის დანარჩენი ნაერთების, ალკალოიდებისა ან მათი წარმოებულების, ვიტამინებისა ან 2936 სასაქონლო პოზიციის სხვა ნაერთების შემცველობის გარეშე), რომელთა ექსპორტმა, შესაბამისად, 9,324.3, 11,422.5 და 66,838.9 ათასი აშშ დოლარი შეადგინა (ჯამში მთლიანი ექსპორტის 89.4 %).

2016 წელს ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებში კვლავ შემცირდა, ამჯერად 12.3%-ით და დადებითი ზრდა მხოლოდ ტაჯიკეთში, რუსეთში, უკრაინასა და ყირგიზეთში ექსპორტს ჰქონდა. აქედან განსაკუთრებით აღსანიშნავია ექსპორტი რუსეთში, რომელიც 26.5%-ით გაიზარდა (წვლილი ზრდაში 5.1 პპ) და უკრაინაში (ზრდა – 22.5%, წვლილი – 1.6 პპ). მოცულობასთან ერთად გაიზარდა რუსეთში ექსპორტის დივერსიფიკაციაც. ტრადიციულად, ექსპორტის მოცულობაში ლიდერი იყო კატეგორია 220421 (ყურძნის ნატურალური ღვინოები (ყურძნის ცქრიალა ღვინოების გარდა), 2 ლ ან ნაკლები ტევადობის ჭურჭელში), თუმცა მეორე ადგილზე, ამჯერად, იყო კატეგორია 720230 (ფეროსილიკატომანგანუმი), მესამეზე კი კატეგორია 220110 (წყლები მინერალური და გაზიანი). ამ კატეგორიების ოდენობა და წილი მთლიან ექსპორტში იყო, შესაბამისად, 55,332.9 ათასი აშშ დოლარი და 26.8%; 39,420.5 ათასი აშშ დოლარი და 19.1%; და 35,034.7 ათასი აშშ დოლარი და 17.0%. უკრაინაში ექსპორტში დომინირებდა კატეგორიები 220820 (სპირტის ნაყენები, მიღებული ყურძნის ღვინისა ან ჭაჭის დისტილაციის (გამოხდის) შედეგად) – 17,011.4 ათასი აშშ დოლარი (23.2%), 220110 (წყლები მინერალური და გაზიანი) – 13,909.8 ათასი აშშ დოლარი (19.0%) და 220421 (ყურძნის ნატურალური ღვინოები (ყურძნის ცქრიალა ღვინოების გარდა), 2 ლ ან ნაკლები ტევადობის ჭურჭელში) – 14.8%.

2017 წელი განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა საქართველოდან დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტისთვის, რომელიც საგრძნობლად გაიზარდა ყველა ქვეყნის შემთხვევაში, გარდა უზბეკეთის და ტაჯიკეთისა. 108.4%-ით გაიზარდა ექსპორტი თურქმენეთში, 92.5%-ით – რუსეთში, 78.6%-ით – აზერბაიჯანში (სადაც ექსპორტი მცირდებოდა 2014 წლიდან მოყოლებული და 2017 წლის ექსპორტის 2013 წლის ექსპორტის მხოლოდ 38.3% იყო, მიუხედავად აღნიშნული ზრდისა), 69.8%-ით – უკრაინაში, 50.9%-ით – ბელარუსში და 39.4%-ით – სომხეთში (სადაც, აზერბაიჯანის მსგავსად, ექსპორტი მცირდებოდა რამდენიმე წლის მანძილზე). 2017 წელს რუსეთში ექსპორტი გაიზარდა პრაქტიკულად ყველა მსხვილი კატეგორიის შემთხვევაში, თუმცა განსაკუთრებით გაიზარდა 720230 კატეგორიის (ფეროსილიკომანგანუმი) ექსპორტი, რომელმაც 129,156.1 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი ექსპორტის 32.5% იყო. ტრადიციული საექსპორტო ლიდერის, კატეგორია 220421 ექსპორტი ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა, და 97,865.0 ათასი აშშ დოლარი შეადგინა (მთლიანი ექსპორტის 26.2%). განსხვავებით წინა წლებისგან, უკრაინაში მკვეთრად გაიზარდა კატეგორია 870323 (მსუბუქი ავტომობილები, შიგაწვის ძრავით ნაპერწკლოვანი ანთებით უკუქცევით-წინსვლითი მოძრავი დგუშით, ძრავის ცილინდრების მუშა მოცულობით 1500 სმ^3-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 3000 სმ^3-ისა) საქონლის ექსპორტი, რომელმაც 27,154.4 ათასი აშშ დოლარი შეადგინა (წინა წელს მხოლოდ 6,198.2 ათასი აშშ დოლარი), რაც მთლიანი ექსპორტის 21.8% იყო. კვლავ მაღალი იყო 220820, 220110 და 220421 კატეგორიების ექსპორტიც. ამასთან მნიშვნელოვნად გაიზარდა

300490 კატეგორიის (სამკურნალო საშუალებები, შედგენილი შერეული ან შეურევლი პროდუქტებისაგან, ანტიბიოტიკების, ჰორმონების, 2937 სასაქონლო პოზიციის დანარჩენი ნაერთების, ალკალოიდებისა ან მათი წარმოებულების, ვიტამინებისა ან 2936 სასაქონლო პოზიციის სხვა ნაერთების შემცველობის გარეშე) და 310230 კატეგორიის (ამონიუმის ნიტრატი, მათ შორის წყალხსნარში (მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი სასუქი)) ექსპორტი. ამათგან პირველის ექსპორტი იყო 8,054.5 ათასი აშშ დოლარი (2016 წელს – 333.5 ათასი აშშ დოლარი), ხოლო მეორის კი 6.762.6 ათასი აშშ დოლარი (წინა წლებში აღნიშნული კატეგორიის საქონლის ექსპორტი უკრაინაში არ ხდებოდა). ბელარუსში ექსპორტის შემთხვევაში, 220110, 220421 და 220820 კატეგორიების ტრადიციულ ექსპორტთან ერთად, აღსანიშნავია 300490 კატეგორიის საქონლის ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა (1,809,4 ათასი აშშ დოლარი 2016 წელს, 8,718.6 ათასი აშშ დოლარი 2017 წელს.

2018 წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში სახეზე 2017 წელს დაფიქსირებული ტენდენცია იყო – 2017 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ექსპორტი გაიზარდა დსთ-ს ყველა ქვეყანაში, ხოლო მთლიანი ზრდა იყო 52.5%. აქედან ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა აზერბაიჯანში ექსპორტის ზრდამ – 25.9 პპ (156.3% ზრდა), საიდანაც მნიშვნელოვანი წილი ეკუთვნის კატეგორიას 240220 (სიგარეტები შეფუთვით, თამბაქოს შემცველობით) – 30,627.8 ათასი აშშ დოლარი და კატეგორიებს 870323 (მსუბუქი ავტომობილები, შიგაწვის ძრავით ნაპერწკლოვანი ანთებით უკუქცევით-წინსვლითი მოძრავი დგუშით, ძრავის ცილინდრების მუშა მოცულობით 1500 სმ³-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 3000 სმ³-ისა) – 24,501.4 ათასი აშშ დოლარი და 870333 (მსუბუქი ავტომობილები, შიგაწვის დგუშიანი ძრავით შეკუმშვით აალებადი (დიზელით ან ნახევარდიზელით), ძრავის ცილინდრების მუშა მოცულობით 2500 სმ³-ზე მეტი) – 18,776.8 ათასი აშშ დოლარი. აღნიშნულ პერიოდში 92.3%-ით გაიზარდა ექსპორტი უკრაინაში და მისმა წვლილმა ზრდაში 7.7 პპ შეადგინა, თუმცა ექსპორტის შემდგენილობა ამ შემთხვევაში არ შეცვლილა და პირველი სამი პოზიცია იმავე სამმა კატეგორიამ დაიკავა, რაც 2017 წელს. მნიშვნელოვნად გაიზარდა ექსპორტი სომხეთშიც (წვლილი – 6.7 პპ), სადაც ტრადიციულად დომინირებდა მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი (კატეგორიები 870323 (მსუბუქი ავტომობილები, შიგაწვის ძრავით ნაპერწკლოვანი ანთებით უკუქცევით-წინსვლითი მოძრავი დგუშით, ძრავის ცილინდრების მუშა მოცულობით 1500 სმ³-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 3000 სმ³-ისა) და 870324 (მსუბუქი ავტომობილები, შიგაწვის ძრავით ნაპერწკლოვანი ანთებით უკუქცევით-წინსვლითი მოძრავი დგუშით, ძრავის ცილინდრების მუშა მოცულობით 3000 სმ³-ზე მეტი)), თუმცა, სომხეთში საბაჟო ცვლილებებთან დაკავშირებით, აღნიშნული კატეგორიების რეექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა 2013 წელთან შედარებით. რუსეთში ექსპორტის ზრდა შედარებით მოკრძალებული იყო (13.7% წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით), ხოლო ექსპორტის შედგენილობა პრაქტიკულად არ შეცვლილა.

	ექსპორტის ზრდა				წვლილი მთლიან ზრდაში			
	2014	2015	2016	2017	2014	2015	2016	2017
დსთ-ს ქვეყნები	-10%	-43%	-12%	61%	-10%	-43%	-12%	61%
თურქმენეთი	1%	12%	-36%	108%	0%	0%	-1%	2%
რუსეთი	44%	-41%	26%	93%	5%	-8%	5%	26%
აზერბაიჯანი	-23%	-56%	-37%	79%	-10%	-21%	-11%	16%
უკრაინა	-27%	-57%	22%	70%	-3%	-5%	2%	7%
მოლდოვა	-68%	40%	-69%	59%	-1%	0%	-1%	0%
ბელარუსი	-14%	-41%	-11%	51%	0%	-1%	0%	1%
სომხეთი	-9%	-37%	-16%	39%	-2%	-7%	-3%	8%
ყაზახეთი	-14%	-49%	-11%	30%	-1%	-3%	-1%	2%
ყირგიზეთი	12%	-33%	10%	29%	0%	0%	0%	0%
უზბეკეთი	141%	79%	-27%	-10%	2%	3%	-3%	-1%
ტაჯიკეთი	36%	-59%	32%	-42%	0%	0%	0%	0%

შეჯამების სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რამდენიმე წლიანი ჩავარდნის შემდეგ, დსთ კვლავ გახდა მნიშვნელოვანი ბაზარი ქართული ექსპორტისთვის, რაც, განსაკუთრებით, რუსეთის შემთხვევაშია

ცხადი. საინტერესოა, რომ გარდა დსთ-ს ქვეყნებში ტრადიციული საექსპორტო საქონლისა (ღვინო, მინერალური წყლები, მანქანების რეექსპორტი), ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა რუსეთში ფეროსილიკომანგანუმის ექსპორტი, რომელიც დღეისთვის რუსეთში მიმავალ ძირითად საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენს.

ფაქტობრივად, იქმნება სურათი, რომლის თანახმადაც, დსთ-ს ქვეყნებთან ვაჭრობა თანდათონობით უბრუნდება 2013-14 წლებამდე არსებულ ტრაექტორიას. როგორც ცნობილია, სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება დასავლეთის მიერ რუსეთის საწინააღმდეგო ეკონომიკური სანქციების ამოქმედება და გაჭიანურებული ეკონომიკური რეცესია. ამასთანავე, ცხადია, რუსეთის ეკონომიკური უკუსვლა უარყოფითად აისახა დსთ-ს ქვეყნებზე, რომლები თავადაც განიცდიდნენ მძლავრ ეკონომიკურ რყევებს რეცესიისა და სავალუტო კრიზისების გამო. ევროკავშირთან ვაჭრობისაგან განსხვავებით, ამ ბლოკთან საქართველოს ვაჭრობა ხასიათდება გაცილებით უფრო მკვეთრად გამოკვეთილი ვოლატილობით, რაც უნდა აიხსნას ქვეყანათა ამ ჯგუფის ეკონომიკის არასტაბილური ხასიათით, ასევე მათი უფრო მეტი მოწყვლადობით საგარეო მაკროეკონომიკური შოკებისადმი. საინტერესოა, რომ იკვეთება გარკვეული „სპეციალიზაცია" დსთ-ს ქვეყნებთან ვაჭრობაში. ამის მაგალითად გამოდგება ალკოჰოლური სასმელებისა და წყლების სტაბილურად მზარდი ექსპორტი ამ სახელმწიფოებში.

ექსპორტი მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში

2013-17 წლებში ექსპორტი მსოფლიო დანარჩენი ქვეყნებიდან მთლიანობაში 31.3%-ით გაიზარდა, მიუხედავად 2015 წელს 6.9%-იანი ჩავარდნისა.

2014 წელს ექსპორტი მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში 13.1%-ით გაიზარდა. ტრადიციულად, ქვეყნების ამ ჯგუფისთვის, სახეზე იყო ექსპორტის ძალიან მაღალი ზრდა რამდენიმე ქვეყანაში, რომლებიც არც მანამდე და არც მას შემდეგ საქართველოსთვის მნიშვნელოვან საექსპორტო ბაზრებს არ წარმოადგენდნენ და ამდენად, ქვემოთ მოყვანილ ანალიზში მათი როლი უგულებელყოფილი იქნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ბაზრები თუნდაც ერთჯერადად მნიშვნელოვან წილზე იქნებიან პასუხისმგებელი. 2014 წელს ექსპორტის ყველაზე მაღალი ზრდა (მათ შორის აბსოლუტურ გამოსახულებაშიც) დაფიქსირდა ბრაზილიის (924.3%), სინგაპურის (357.9%), სამხრეთ კორეის (318.5%), შვეიცარიის (316.0%, წვლილი ზრდაში 1.5 პპ), ჩინეთის (166.2%, წვლილი ზრდაში 8.3 პპ)), ისრაელის (86.4%), ინდოეთის (69.%), აშშ-ს (50.8%, წვლილი ზრდაში 10.2 პპ) და თურქეთის (30%, წვლილი ზრდაში 8.1%) მიმართულებით. ასევე, აღსანიშნავია ექსპორტის ზრდა ერაყში (18.3%). ბრაზილიაში ექსპორტის 100%-ს წარმოადგენდა კატეგორია 720230 (ფეროსილიკომანგანუმი), 4,526.0 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. სინგაპურში ექსპორტის ორი ძირითადი კატეგორია იყო 220820 (სპირტის ნაყენები, მიღებული ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციის (გამოხდის) შედეგად) და 220830 (ვისკი), შესაბამისად, 2,423.9 და 1,379.8 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (მთლიანი ექსპორტის 63.5%). კორეაში ძირითადი საექსპორტო საქონელი 2014 წელს იყო კატეგორია 740400 (სპილენძის ნარჩენები და ჯართი), ოდენობით 3,187.8 ათასი აშშ დოლარი. შვეიცარიაში ძირითადი საექსპორტო კატეგორია იყო 720230 – 8,371.9 ათასი აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის 61.6%). ჩინეთში ძირითად ექსპორტს წარმოადგენდა კატეგორია 260300 (სპილენძის მადნები და კონცენტრატები) – 67,391.4 ათასი აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის 72.2%), ხოლო მეორე ადგილზე იყო კატეგორია 740400 (სპილენძის ნარჩენები და ჯართი) – 17,371.3 ათასი აშშ დოლარი. 2014 წელს ძირითად საექსპორტო საქონელს ისრაელში წარმოადგენდა კატეგორია 080222 (ახალი ან ხმელი ნაჭუჭგაცლილი, ტყის კაკალი ანუ თხილი (Corylus spp.)) – 1,160.2 ათასი აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის 26.0%). მნიშვნელოვანი იყო, ასევე, კატეგორია 852580 (სატელევიზიო კამერები, ციფრული კამერები და ჩამწერი ვიდეოკამერები) – 761.9 ათასი აშშ დოლარი. ინდოეთში ძირითად ექსპორტს წარმოადგენდა კატეგორიები 760200 (ალუმინის ნარჩენები და ჯართი) – 7,507.3 ათასი აშშ დოლარი, და 740400 – 2,023.0 ათასი აშშ დოლარი. ორივე ეს კატეგორია ჯამში მოიცავდა ინდოეთში მთლიანი ექსპორტის 88.6%-ს. დომინანტი ექსპორტი აშშ-ში იყო კატეგორია 720230 – 151,954.4 ათასი აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის 73.3%), მეორე ადგილზე კი იყო კატეგორია 310230 (ამონიუმის ნიტრატი, მათ შორის წყალხსნარში (მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი სასუქი)) – 31,394.8 ათასი აშშ დოლარი. ეს უკანასკნელი კატეგორია იყო ყველაზე დომინანტი ექსპორტი თურქეთში – 51,661.8 ათასი აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის მხოლოდ 21.6%, რაც თურქეთში ექსპორტის მაღალ დივერსიფიკაციაზე მიუთითებს). სიდიდით მეორე ექსპორტი თურქეთში იყო კატეგორია 610990 (მაისურები, სახელოებიანი ფუფაიკები და დანარჩენი ტანის ფუფაიკები ტექსტილის მასალებისგან, ბამბის ნართისაგან დამზადებულის გარდა, მანქანით ან ხელით ნაქსოვი ტრიკოტაჟისა)- 34,924.4 ათასი აშშ დოლარი, ხოლო მესამეზე – კატეგორია

720711 (ნახევარფაბრიკატები რკინისა ან არალეგირებული ფოლადისაგან, ნახშირბადის შემცველობით 0,25 მას.%-ზე ნაკლები მართკუთხა (კვადრატულის ჩათვლით) განივი კვეთის ორმაგ სისქეზე ნაკლები სიგანით)) – 32,295.2 ათასი აშშ დოლარი. ერაყში ექსპორტი ძირითადად ორ კატეგორიას – 080221 (ახალი ან ხმელი ნაჭუჭგაუცლელი, ტყის კაკალი ანუ თხილი (*Corylus spp.*)) და 080222 (ახალი ან ხმელი ნაჭუჭგაცლილი, ტყის კაკალი ანუ თხილი (*Corylus spp.*)) მოიცავდა, შესაბამისი ოდენობებით 2,583.7 და 3,962.6 ათასი აშშ დოლარი (ჯამურად მთლიანი ექსპორტის 63.9%).

2015 წელს ქვეყნების ამ კატეგორიაში ექსპორტის ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა საუდის არაბეთში (6364.3%). ანგოლაში (3274.7%), ჰონ-კონგში (536.0%), ტუნისში (486.6%), ბრაზილიაში (340.3%), შვეიცარიაში (126.9%, წვლილი ზრდაში 2.2 პპ), გიბრალტარში (112.1%), კანადაში (43.9%, წვლილი ზრდაში 2.8 პპ; აღსანიშნავია წინა წელს კანადაში ექსპორტის მნიშვნელოვანი კლება), ჩინეთში (39.2%, წვლილი ზრდაში 4.6 პპ), ინდოეთში (33.2%). აღსანიშნავია თურქეთსა და აშშ-ში ექსპორტის მკვეთრი კლება (შესაბამისად, 22.0% და 49.8%). საუდის არაბეთში ძირითადი ექსპორტი (მთლიანი ექსპორტის 87.7%) იყო კატეგორია 010410 (ცოცხალი ცხვრები). ანგოლაში 2015 (და შემდგომ წლებშიც) საექსპორტოდ გადიოდა ერთადერთი კატეგორიის საქონელი – 110100 (ხორბლისა ან ხორბალ-ჭვავის ფქვილი), ოდენობით 3,029.1 ათასი აშშ დოლარი 2015 წელს, 2,076.1 – 2016 წელს და 6,327.4 – 2017 წელს. ჰონ-კონგში ექსპორტირებული ძირითადი საქონელი იყო კატეგორია 910229 (მაჯის საათები (არა ელექტრული), ჩადგმული წამზომით ან მის გარეშე, ავტომატური მომართვის გარეშე (გარდა 9101 სასაქონლო პოზიციის საათებისა და წამსაზომებისა)) – ოდენობით 1,275.6 ათასი აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის 47.3%). ტუნისში დომინანტი ექსპორტი (მთლიანი ექსპორტის 90.7%) იყო კატეგორია 080222, ოდენობით 1,704.1 ათასი აშშ დოლარი. ბრაზილიაში, წინა წლის მსგავსად, დომინირებდა 720230 კატეგორიის საქონლის ექსპორტი (13,389.0 ათასი აშშ დოლარი), თუმცა გამოჩნდა ახალი მნიშვნელოვანი საექსპორტო საქონელიც – 310230 (ამონიუმის ნიტრატი, მათ შორის წყალხსნარში (მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი სასუქი)) – 6,384.0 ათასი აშშ დოლარი. აღსანიშნავია, რომ ექსპორტი ბრაზილიაში მას მერე პრაქტიკულად შეწყდა, თუ არ ჩავთვლით 2016 წელს ექსპორტირებული მცირე ოდენობის თხილს. 2015 წელს შვეიცარიაში ძირითად ექსპორტს წარმოადგენდა 870323 (მსუბუქი ავტომობილები, შიგაწვის ძრავით ნაპერწკლოვანი ანთებით უკუქცევით-წინსვლითი მოძრავი დგუშით, ძრავის ცილინდრების მუშა მოცულობით 1500 სმ³-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 3000 სმ³-ისა) – 13,889.2 ათასი აშშ დოლარი, ხოლო მეორე ადგილი ეკავა კატეგორიას 260300 (სპილენძის მადნები და კონცენტრატები) – 10,661.2 ათასი აშშ დოლარი. 2015 წელს ისევე, როგორც მომდევნო წლებში, გიბრალტარში ძირითად ექსპორტს წარმოადგენდა კატეგორია 270900 (ბიტუმოვანი მინერალებისაგან მიღებული ნედლი ნავთობი და ნედლი ნავთობპროდუქტები) – 6,385.8 ათასი აშშ დოლარი (აღსანიშნავია, რომ 2017 წელს, ერთჯერადად, გიბრალტარში ასევე გავიდა ექსპორტზე კატეგორია 271012 (მსუბუქი დისტილატები და პროდუქტები; ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მიღებული ბიტუმოვანი ქანებისაგან, ნედლის გარდა; და სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი ნავთობის ან ნავთობპროდუქტების 70 მას.% ან მეტი შემცველობის პროდუქტები) – 1,319.7 ათასი აშშ დოლარის ოდენობით). კანადაში ექსპორტში დომინირებდა კატეგორია 710813 (მონეტების მოჭრისათვის გამოუყენებელი ოქრო (პლატინით გალვანურად დაფარული ოქროს ჩათვლით), ნახევრადდამუშავებული ფორმებით), ოდენობით 58,842.1 ათასი აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის 83.9%). ეს კატეგორია, ასევე, დომინირებდა კანადაში ექსპორტში 2016 წელსაც (31,576.6 ათასი აშშ დოლარი), თუმცა, 2017 წლიდან ექსპორტი კანადაში მკვეთრად ეცემა. კანადაში სიდიდით მეორე საექსპორტო საქონელი 2015-16 წლებში იყო კატეგორია 720230 (შესაბამისად, 9,591.4 და 7,254.5 ათასი აშშ დოლარი). ჩინეთში ექსპორტში, წინა წლის მსგავსად, დომინირებდა კატეგორიები 260300 – 101,220.9 ათასი აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის 80.3%) და 740400 (14,928.7 ათასი აშშ დოლარი). წინა წლისგან განსხვავებით, ინდოეთში ექსპორტში ახალი დომინანტი გაჩნდა – კატეგორია 310230 (8,095.1 ათასი აშშ დოლარი, მთლიანი ექსპორტის 56.5%), ხოლო წინა წლის ყველაზე მნიშვნელოვანი საექსპორტო საქონლის (კატეგორია 760200) ექსპორტმა იკლო და მხოლოდ 4,568.3 ათასი აშშ დოლარი შეადგინა.

2016 წელს მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში ექსპორტში ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა მექსიკაში (3276.7%), სამხრეთ კორეაში (464.4%), საუდის არაბეთში (413.7%), ეგვიპტეში (309.5%), ერაყში (273.1%), შვეიცარიაში (165.1%), ტუნისში (137.0%), ჰონ-კონგში (58.8%), სინგაპურში (56.4%), ინდოეთში (55.0%), ჩინეთში (38.6%) და ირანში (30.2%). გაგრძელდა ექსპორტის კლება თურქეთსა (-7.1%) და აშშ-ში (-34.5%), ასევე, 41.2%-ით შემცირდა ექსპორტი კანადაში. მექსიკაში ექსპორტის 96.1 % მოდიოდა კატეგორიაზე 720230 (ფეროსილიკომანგანუმი) – 10,766.8 ათასი აშშ დოლარი. სამხრეთ კორეაში ექსპორტის ძირითადი შემადგენელი ნაწილი იყო კატეგორია 740400 (სპილენძის ნარჩენები და ჯართი) – 8,140.5 ათასი აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის 58.0%), ხოლო ღირებულებით მეორე კატეგორია იყო 261690 (ძვირფასი

ლითონების მადნები და კონცენტრატები, ვერცხლის გარდა) – 4,765.6 ათასი აშშ დოლარი. საუდის არაბეთში დაფიქსირდა კატეგორია 770000 საქონლის (შერეული საქონელი) ერთჯერადი მკვეთრი ზრდა – 16,695.0 ათასი აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის 67.5%), არც წინა და არც შემდგომ წლებში ამ კატეგორიის საქონელი საუდის არაბეთში არ გასულა. ღირებულებით მეორე კატეგორია, იყო 010410 (ცოცხალი ცხვრები), რომელმაც წინა წელთან შედარებით 61.5%-იანი ზრდა განიცადა და 6,812.3 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. ეგვიპტეში ექსპორტის ძირითადი კატეგორიები იყო 842839 (უწყვეტი მოქმედების ელევატორები და ლენტური კონვეიერები, გარდა 8428 20, 8428 31, 8428 32 და 8428 33 სუბპოზიციებში შემავალი კონვეიერებისა) – 4,485.3 ათასი აშშ დოლარი, 010229 (დანარჩენი ცოცხალი შინაური მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (წმინდა ჯიშიანი სანაშენეს გარდა)) – 3,500.4 ათასი აშშ დოლარი, და 846694 (ნაწილები და სამარჯვები, განკუთვნილი მხოლოდ 8462 ან 8463 სასაქონლო პოზიციის დაზგებისათვის გარდა ინსტრუმენტის სამაგრი სამარჯვების და თვითგამხსნელი კუთხვილსაჭრელი თავაკების, დასამუშავებელი დეტალების დასამაგრებელი სამარჯვებისა და ჩარხებისათვის განკუთვნილი) – 3,244.0 ათასი აშშ დოლარი. 2016 წელს ერაყში მნიშვნელოვნად და დომინანტი პოზიცია დაიკავა კატეგორია 010229 საქონლის ექსპორტმა – 30,597.4 (მთლიანი ექსპორტის 75.0%), ამასთან, მცირედით გაიზარდა კატეგორია 080222 საქონლის ექსპორტიც (4,052.4 ათასი აშშ დოლარი). წინა წელთან შედარებით შვეიცარიაში ექსპორტის ზრდა ძირითადად კატეგორია 710813-ის (მონეტების მოჭრისათვის გამოუყენებელი ოქრო (პლატინით გალვანურად დაფარული ოქროს ჩათვლით), ნახევრადდამუშავებული ფორმებით) ხარჯზე მოხდა, რომლის ექსპორტი წინა წელს არ დაფიაქსირებულა – 42,148.9 ათასი აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის 51.5%). ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა წინა წლის ყველაზე მსხვილი საექსპორტო საქონლის – კატეგორია 870323 – ოდენობაც, რომელმაც 27,523.7 ათასი აშშ დოლარი შეადგინა (98.2%-იანი ზრდა წინა წელთან შედარებით). მაღალი იყო, ასევე, კატეგორია 260300 საქონლის ექსპორტიც – 6,048.7 ათასი აშშ დოლარი. ტუნისში ექსპორტში კვლავ დომინირებდა კატეგორია 080222, რომლის ექსპორტიც 132.5%-ით გაიზარდა. ჰონ-კონგში ექსპორტის ძირითად კატეგორიას წარმოადგენდა 220820 (სპირტის ნაყენები, მიღებული ყურძნის ღვინისა ან ჭაჭის დისტილაციის (გამოხდის) შედეგად), ჯამური ღირებულებით 2,353.8 ათასი აშშ დოლარი, თუმცა წინა წელს დიდი რაოდენობით გასული კატეგორია 910229 (მაჯის საათები (არა ელექტრული), ჩადგმული წამზომით ან მის გარეშე, ავტომატური მომართვის გარეშე (გარდა 9101 სასაქონლო პოზიციის საათებისა და წამსაზომებისა)) ასევე შედარებით დიდი ოდენობით იყო ექსპორტირებული – 532.6 ათასი აშშ დოლარი. სინგაპურში ექსპორტის ძირითად კატეგორიებს წარმოადგენდა 240220 (სიგარეტები შეფუთვით, თამბაქოს შემცველობით), 220820 (სპირტის ნაყენები, მიღებული ყურძნის ღვინისა ან ჭაჭის დისტილაციის (გამოხდის) შედეგად) და 220830 (ვისკი), შესაბამისად, 4,852.7, 1,849.6 და 1,241.9 ათასი აშშ დოლარი. ინდოეთში, წინა წლის მსგავსად, დომინანტი ექსპორტი იყო კატეგორია 310230 (17,611.0 ათასი აშშ დოლარი, მთლიანი ექსპორტის 79.3%). ჩინეთში ექსპორტის ძირითადი კატეგორია კვლავ 260300 იყო, რომლის ოდენობამ წინა წელთან შედარებით 30.3% მოიმატა და 131,914.8 აშშ დოლარი შეადგინა (მთლიანი ექსპორტის 78.0% შეადგინა), ხოლო სიდიდით მეორე იყო კატეგორია 260200 (მადნები და კონცენტრატები მანგანუმის, მშრალ პროდუქტზე გადაანგარიშებით 20 მას.% ან მეტი მანგანუმის შემცველობის რკინოვანი მანგანუმის მადნებისა და კონცენტრატების ჩათვლით), ოდენობით 14,073.1 ათასი აშშ დოლარი) რომელიც წინა წლებში ჩინეთში არ გასულა. საქართველოდან ირანში ექსპორტი საკმაოდ დივერსიფიცირებული იყო, და სამი კატეგორია – 440792 (წიფლის ხე–ტყის მასალა გასწვრივ დახერხილი ან დაპობილი, შრეებად გაყოფილი ან შპონახდილილი, გარანდული ან გაურანდავი, გახეხილი ან გაუხეხავი, ტორსული შეერთების მქონე ან მის გარეშე, სისქით 6 მმ-ზე მეტი), 720320 (ფეროსილიკომანგანუმი) და 870323 (მსუბუქი ავტომობილები, შიგაწვის ძრავით ნაპერწკლოვანი ანთებით უკუქცევით-წინსვლითი მოძრავი დგუშით, ძრავის ცილინდრების მუშა მოცულობით 1500 სმ³-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 3000 სმ³-ისა) შეადგენდა მთლიანი ექსპორტის 57.9%-ს, შესაბამისი ღირებულებებით 10,855.5, 9,167.4 და 6,967.9 ათასი აშშ დოლარი.

2017 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ექსპორტი ანგოლაში (204.8%; იხ. ზემოთ), იაპონიაში (175.3%), აშშ-ში (78.4%), ირანში (63.9%), ჰონ-კონგში (48.5%), გიბრალტარში (25.9%; იხ. ზემოთ), სინგაპურში (28.6%), თურქეთში (24.9%), სამხრეთ კორეაში (19.2%), არაბთა გაერთიანებულ საამიროებსა (17.0%) და ჩინეთში (15.7%). ძირითად ექსპორტს იაპონიაში წარმოადგენდა კატეგორია 760120 (დაუმუშავებელი ალუმინის შენადნობები) – 4,544.8 ათასი აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის 61.7%). წინა წლების მსგავსად, აშშ-ში ექსპორტში დომინირებდა კატეგორია 720230 – 98,258.7 ათასი აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის 79.2%). 2017 წელს გაიზარდა ესპორტის დივერსიფიკაცია ირანში. საექსპორტო კატეგორიებს 440792 (14,385.0 ათასი აშშ დოლარი, ზრდა წინა წელთან – 32.5%) 720230 (7,963.4 ათასი აშშ დოლარი, კლება – 13.1%) და 870323 (4,788.0 ათასი აშშ დოლარი, კლება 31.3%), დაემატა ახალი საექსპორტო საქონელი, კატეგორიით 020410 (ბატკნების დაუფეშხოებელი და დაფეშხოებული ნაკლავი, ახალი

ან გაცივებული) – 14,127.1 ათასი აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის 18.5%). ჰონ-კონგში ექსპორტის შედგენილობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა წინა წელთან შედარებით და მთავარ საექსპორტო კატეგორიას კვლავ 220820 წარმოადგენდა (4,697.7 ათასი აშშ დოლარი, 99.6% ზრდა წინა წელთან), თუმცა მისი წილი მთლიან ექსპორტში კიდევ უფრო გაიზარდა და 74.0% შეადგინა. სინგაპურში ექსპორტში კვლავ დომინირებდა გასული წლის სამი ძირითადი კატეგორია – 240220 (4,797.4 ათასი აშშ დოლარი, კლება წინა წელთან შედარებით 1.1%), 220820 (2,415.3 ათასი აშშ დოლარი, ზრდა 30,6%) და 220830 (2,253.2 ათასი აშშ დოლარი, ზრდა 81.4%), თუმცა მსხვილ საექსპორტო პოზიციებს დაემატა ახალი კატეგორიაც – 260300 (სპილენძის მადნები და კონცენტრატები) – 1,506.6 ათასი აშშ დოლარი. ჯამურად ეს ოთხი კატეგორია სინგაპურში მთლიანი ექსპორტის 79.8%-ს შეადგენდა. თურქეთში ექსპორტი ტრადიციულად დივერსიფიცირებული იყო. წინა წლების მსგავსად, ყველაზე მსხვილი საექსპორტო კატეგორია იყო 610990 (მაისურები, სახელოებიანი ფუფაიკები და დანარჩენი ტანის ფუფაიკები ტექსტილის მასალებისგან, ბამბის ნართისაგან დამზადებულის გარდა, მანქანით ან ხელით ნაქსოვი ტრიკოტაჟისა) – 34,064.6 ათასი აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის 15.7%), მნიშვნელოვნად გაიზარდა კატეგორიები 720711 (ნახევარფაბრიკატები რკინისა ან არალეგირებული ფოლადისაგან, ნახშირბადის შემცველობით 0,25 მას.%-ზე ნაკლები მართკუთხა (კვადრატულის ჩათვლით) განივი კვეთის ორმაგ სისქეზე ნაკლები სიგანით) – 26,653.6 ათასი აშშ დოლარი (121.6% ზრდა), და 720230 – 24,522.5 ათასი აშშ დოლარი (108.8%). ეს სამი კატეგორია თურქეთში მთლიანი ექსპორტის 39.3%-ს შეადგენდა. 2017 წელს სამხრეთ კორეაში ძირითად ექსპორტს წარმოადგენდა, წინა წლის მსგავსად, კატეგორია 740400 – 11,892.3 ათასი აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის 68.1%), ხოლო სიდიდით მეორე კი იყო კატეგორია 260300 – 3,458.1 ათასი აშშ დოლარი (19.8%). არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ექსპორტის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა მსუბუქი ავტომობილების სხვადასხვა კატეგორიები. წინა წლების მსგავსად, ჩინეთში ძირითად ექსპორტს წარმოადგენდა კატეგორია 260300 (სპილენძის მადნები და კონცენტრატები) – 169,578.4 ათასი აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის 81.8%), თუმცა შედარებით გაიზარდა, ასევე, კატეგორია 220421-ის (ყურძნის ნატურალური ღვინოები (ყურძნის ცქრიალა ღვინოების გარდა), 2 ლ ან ნაკლები ტევადობის ჭურჭელში) ექსპორტი – 20,183.2 ათასი აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის 9.7%).

ქვეყანათა ამ ჯგუფში მნიშვნელოვნების მიხედვით გამოსაყოფია დიდი ზომის ბაზრები, გეოგრაფიულად ახლომდებარე თურქეთი და ირანი, ასევე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთი და ინდოეთი, რომლებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები თანდათანობით ღრმავდება. ექსპორტი ასორტიმენტის თვალსაზრისით ყველაზე მეტად დივერსიფიცირებულია თურქეთთან და ირანთან, თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოს ექსპორტში მნიშვნელოვანი როლის მქონე ალკოჰოლური სასმელების ექსპორტი ამ ორ ქვეყანაში გასაგები მიზეზების გამო, არ მიემართება. ჩამოთვლილი ქვეყნებში ექსპორტის ზრდას ასევე თანდათანობითი, ევოლუციური ხასიათი აქვს. ქვეყანათა ამ ჯგუფთან ვაჭრობა ხასიათდება უფრო მეტი ვოლატილობით ვიდრე ევროკავშირთან ვაჭრობა, თუმცა უფრო მეტად სტაბილურია, ვიდრე დსთ-ს ქვეყნებთან ვაჭრობა. ექსპორტის ნომენკლატურაში სჭარბობს ნედლეული ან შედარებით ნაკლებ ტექნოტევადი საქონელი, რაც მისი შოკებისადმი მაღალ მოწყვლადობას განაპირობებს. სავარაუდოა, რომ ახალი დიდი სავაჭრო პარტნიორების შედარებითი სტაბილურობა (ჩინეთი, ინდოეთი) განაპირობებს საქართველოს„დანარჩენი მსოფლიოს" ქვეყნების ჯგუფთან ვაჭრობის მეტ-ნაკლებ სტაბილურობას, მიუხედავად იმისა, რომ საანგარიში პერიოდში თურქეთისა და ირანის ეკონომიკები საგრძნობ რყევებს განიცდიდნენ. თვალშისაცემია ქვეყნების ამ ჯგუფთან ვაჭრობის გარკვეულწილად „შემთხვევითი" ხასიათი რაშიც იგულისხმება მაგალითად ის, რომ სახეზეა გეოგრაფიულად დაშორებულ ქვეყნებთან, კერძოდ ბრაზილიასთან ვაჭრობის უეცარი ზრდა და შემდეგ მისი უეცარი წყვეტა. იგივე ეხება გარკვეულ სასაქონლო ჯგუფებს, მაგალითად საათებს ან ავტომობილებს.

დასკვნა

საქართველოს ექსპორტის ანალიზი ქვეყნების მსხვილი ჯგუფებისა და სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით მიანიშნებს, რომ ადგილი აქვს ექსპორტის თანდათანობით ევოლუციურ ზრდას. მართალია, ცალკეული ქვეყნებისა თუ სასაქონლო ჯგუფების მიხედვით საკმაოდ ხშირად ფიქსირდება ნახტომისებური ცვლილებები, მათი ზეგავლენა ზოგად ტენდენციებზე, ფაქტობრივად, მარგინალურია. თანდათანობით იკვეთება სპეციალიზაცია სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის იმ პროდუქციის ექსპორტირების მიმართულებით, რომელთა წარმოებაში საქართველოს ტრადიციულად კარგი პოზიციები გააჩნია. ამ მხრივ, უცნაური სულაც არ არის მინერალური წყლების, ალკოჰოლისა თუ თხილის ექსპორტის ზრდა, მიუხედავად პერიოდული საკმაოდ სერიოზული რყევებისა.

თანდათანობით ფართოვდება ექსპორტირებული საქონლის ასორტიმენტი, თუმცა ამ პროცესს სწრაფს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, რადგანაც საქართველოს კონკურენტული უპირატესობა ჯერჯერობით შედარებით ნაკლებად ტექნოტევადი პროდუქციის წარმოებაშია, ხოლო მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოება ხანგრძლივ დროს, ინვესტიციებსა და ეკონომიკის მოწყობის რადიკალურ ცვლილებას მოითხოვს, რაც მოკლევადიან პერიოდში მოსალოდნელი არ უნდა იყოს.

საქართველოს ექსპორტის გეოგრაფიაზე, განსაკუთრებით კი ექსპორტის ზრდაზე განსაკურებით მწვავედ აისახება მსოფლიო ბაზრებზე დაფიქსირებული სავალუტო, მაკროეკონომიკური, თუ სხვა ტიპის შოკები. ქვეყანათა დიდი ჯგუფების, მათ შორის ევროკავშირში ექსპორტის ზრდის ანალიზისას აუცილებელია მხედველობაში გვქონდეს ორი მნიშვნელოვანი გარემოება. პირველი, საქართველო აქამდე არასოდეს წარმოადგენდა მკვეთრად საექსპორტო ორიენტაციის ეკონომიკას, ისე, როგორც ეს აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების შემთხვევაშია. აქედან გამომდინარე, მართალია ექსპორტის მნიშვნელობა ეკონომიკურ ზრდაში ძალიან არსებითია, მასზე მეტისმეტად დიდი აქცენტირება გამართლებული არ არის. მეორე, საქართველოსთვის ტრადიციულ აგრარული პროდუქციის ექსპორტში ჯერ კიდევ არ არის მიღწეული სპეციალიზაციის ის მაღალი დონე, რაც ექსპორტს ეკონომიკურ განვითარებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას მიანიჭებდა. ამაში ვგულისხმობთ სამხრეთ ნახევარსფეროს ცალკეული ქვეყნების ევროკავშირზე ორიენტაციას სპეციფიკური სასოფლო-სამეურნეო თუ ტექნოლოგიური სასაქონლო ჯგუფების მიმართულებით.

ანალიზმა არ აჩვენა, რომ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ხელმოწერამ ევროკავშირის ექსპორტის უეცარი ზრდა ან ქვეყანათა სხვა ჯგუფიდან ევროკავშირისკენ ექსპორტის რეორენტაცია უკვე გამოიწვია. აღსანიშნავია ისიც, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება საქართველოს შესაძლებლობას აძლევს მსოფლიოს უმსხვილეს სავაჭრო ბლოკთან „გარანტირებულად ხელსაყრელი" სავაჭრო, საინვესტიციო და სხვა რეჟიმებით ისარგებლოს. ამაში იმას ვგულისხმობთ, რომ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის ქვეყნები არ მიმართავენ ვოლუნტარისტულ ვაჭრობის ან ინვესტიციების შემზღუდავ ზომებს და მათთან ვაჭრობა და ეკონომიკური ურთიერთობა ბუნებრივად მოექცევა ცხადი, გამჭვირვალე და პროგნოზირებადი რეგულირების ჩარჩოებში, რისი თქმაც ძნელია სხვა ქვეყნების ჯგუფთან ვაჭრობის ანალიზისას. ამავე დროს, მოკლევადიანი შედეგების ანალიზი შეიძლება სირთულეებს წააწყდეს გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, რაშიც იგულისხმება შემდეგი: ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ხელმოწერამდე, საქართველოს უკვე გააჩნდა საკმაოდ თავისუფალი სავაჭრო რეჟიმები როგორც ევროკავშირთან, ასევე დანარჩენ მსოფლიოსთან და ამგვარად, ფორმალური თვალსაზრისით, ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაცია ქვეყანათა მხოლოდ ერთ ჯგუფთან მოკლევადიან პერიოდში ვაჭრობის ზოგადი პატერნის მნიშვნელოვან ცვლილებას ვერ განაპირობებდა, მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად ეს ძალზე მნიშვნელოვანი და დადებითი მოვლენაა. მეორე, საქართველოდან ექსპორტირებული სასაქონლო ჯგუფების უმეტესობა არ არის ტექნოტევადი და მათი წარმატება მეტწილად დამოკიდებულია ფასზე. ასეთი ტიპის საქონელს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა უკვე აწარმოებს, და გაცილებით დიდი რაოდენობით. ამგვარად, საქართველოს ევროკავშირის ბაზარზე უკვე არსებული მძლავრი კონკურენციის დაძლევა მოუწევს. მესამე, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ხელმოწერამდე ჩვენს ქვეყანას ევროკავშირთან არ ჰქონია ვაჭრობის ხარისხობრივად ან პრინციპულად შემზღუდავი რაიმე ბარიერი, რაც ახალმა ხელშეკრულებამ მოშალა. აქედან გამომდინარე, სიტუაციის რადიკალური ცვლილება მოკლევადიან პერიოდში არც ამ თვალსაზრისით უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი.

გამორციხული არ არის, რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე ახალი ხელშეკრულების ხელმოწერასთან შედარებით გაცილებით მეტი ზეგავლენა მოახდინა როგორც ლარის, ისევე მთავარი სავაჭრო პარტნიორების გაცვლითი კურსის მერყეობამ, გლობალური ეკონომიკის ზოგადად არასტაბილურმა ფონმა და სხვა მრავალმა ფაქტორმა, რომელთა დეტალური განხილვა წარმოდგენილი ანალიზის სფეროს არ განეკუთვნებოდა.

ევროკავშირთან ვაჭრობის ლიბერალიზაციის უპირატესობები შესაძლოა გამოიკვეთოს უახლოეს მომავალში, რაც ახალი კვლევის საგანი უნდა გახდეს. აქ მნიშვნელოვანი იქნება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

1. სადღეისოდ უკვე მკაფიოდ ჩანს ვაჭრობის ერთგვარი დეგლობალიზაციის პროცესები და განვითარებული ქვეყნებიც კი მიმართავენ დისკრეციულ პროტექციონისტულ ღონისძიებებს სავაჭრო პარტნიორების წინააღმდეგ. ვინაიდან, ევროკავშირის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ამგვარი ზომების გატარება გამორიცხულია, თავად ხელმოწერილი ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარე. ამის გათვალისწინებით, უახლოეს მომავალში სავარაუდოდ, მოსალოდნელია ვაჭრობის ერთგვარი რეორიენტაცია ევროკავშირის ქვეყნებზე.

2. მსოფლიო ეკონომიკა ამჟამად ზრდის არასტაბილურ ფაზაში იმყოფება, რაც ხასიათდება დიდი რყევებითა და სავალუტო კურსების ცვალებადობით, აქედან გამომდინარე, მომავალ კვლევებში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ძირითადი სავაჭრო ბლოკებისა და ამ ბლოკების უდიდესი ეკონომიკების ეკონომიკური კონიუნქტურის ანალიზს, როგორც განმსაზღვრელი ფაქტორისა საქართველოს ექსპორტის ზრდისა და დივერსიფიკაციის კუთხით

3. საქართველოდან ექსპორტირებული სასაქონლო ჯგუფების გრძელვადიანი გლობალური ვაჭრობის ანალიზი ფასებისა და გეოგრაფიის თვალსაზრისით. ამჟამად საქართველოდან ექსპორტირებული სასაქონლო ჯგუფების უმეტესი ნაწილი ნედლეულის ტიპის ან ნაკლებად ტექნოტევადია. ასეთი პირობებში, ექსპორტის ჯამური ღირებულების სწრაფი ზრდის მოლოდინი ნაჩქარევია.

4. სამომავლოდ, კვლევებში აქცენტები უნდა გაკეთდეს იმაზე, თუ სასაქონლო ჯგუფების შიგნით რატომ ყალიბდება ერთგვარი სპეციალიზაცია გეოგრაფიული ნიშნით. ასე მაგალითად, მინერალური წყლები და ალკოჰოლური სასმელები კვლავაც დსთ-ზე ორიენტირებული რჩება, მაშინ როცა თხილის ექსპორტი უმეტესწილად ევროკავშირის ქვეყნებში ხორციელდება, ხოლო დანარჩენი მსოფლიოს ქვეყნებში სახეზეა ტექსტილის ნაწარმის ექსპორტის ზრდა ნედლეულთან და სპეციფიკურ სასოფლო-სამეურნეო სასაქონლო ჯგუფებთან ერთად.

5. საბოლოო რეკომენდაციის სახით უნდა ითქვას, რომ ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაციის შედეგების ანალიზი (მათ შორის) ევროკავშირის ქვეყნებთან უნდა გაკეთდეს შიდაეკონომიკური მდგომარეობის (დასაქმება, მეწარმეობა, ზრდის ზოგადი ტენდენციები), ასევე სავაჭრო ხელშეკრულების თანმდევი სხვა ასპექტების, მაგალითად ინვესტიციების ნაკადი, ტექნოლოგიებისა და ინტელექტუალური საკუთრებისა და „ნოუ ჰაუს“ იმპორტი და სხვა უფრო დელიკატური მექანიზმების, ფრთხილი ანალიზის ფონზე. შესაძლებელია ამან, გაცილებით უფრო საინტერესო შედეგები მოიტანოს, ვიდრე მხოლოდ სავაჭრო ნაკადების ცვლილების ანალიზმა.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC)
ფალიაშვილის ქ. 85. მეოთხე სართული. 0162. თბილისი. საქართველო.
(995 32) 2 207 305
info@eprc.ge
@EPRC_Georgia
Economic Policy Research Center
www.eprc.ge